



ევროკავშირი
საქართველოსთვის

Brot
für die Welt



CSR DG
სტრატეგიული
კორპორაციული
ცენტრი

თაფლის უვნებლობის კონტროლი საქართველოში მონიტორინგის ანგარიში

ეს დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ავტორი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

2025 წ. მარტი

ავტორი: ვახტანგ კობალაძე, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამის კოორდინატორი.

მონიტორინგი ჩატარდა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) მიერ ევროკავშირის „სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის“ (ENPARD – Georgia) მეოთხე ფაზის (ENPARD IV) ფარგლებში, ასევე, ორგანიზაციის „პური მსოფლიოს“ (გერმანია) მიერ დაფინანსებული პროექტის „გაზრდილი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა და მომხმარებელთა ცნობიერება“ მხარდაჭერით. პროექტს ახორციელებს კოალიცია, რომელშიც შედიან საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (წამყვანი პარტნიორი), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი და საქართველოს მთიანი რეგიონების ამბროლაურის რაიონის ფერმერ-მეფუტკრეთა ასოციაცია.

@ საავტორო უფლებები ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრს (CSRDG).

სარჩევი

| | |
|--|----|
| შესავალი..... | 4 |
| აბრევიატურები..... | 6 |
| 1. მიღწეული პროგრესი | 7 |
| 2. მეფუტკრეთა ცნობიერება უვნებლობის საკითხებზე/მოთხოვნებზე | 8 |
| 3. ვეტერინარების რაოდენობა | 9 |
| 4. მეწარმეთა რეგისტრაციის მექანიზმები და მათი გამოყენება | 9 |
| 5. კონტროლის მასშტაბები | 11 |
| 6. ანტიბიოტიკების ნარჩენები თაფლში | 12 |
| 7. კონტროლის ეფექტიანობა და მომხმარებელთა ინფორმირება | 14 |
| ძირითადი დასკვნები | 16 |
| რეკომენდაციები..... | 17 |
| გამოკითხულ პირთა სია..... | 19 |
| წერილობითი წყაროები..... | 19 |

შესავალი

მონიტორინგის ობიექტი

თავლი საქართველოს მოსახლეობის, მათ შორის, ბავშვების კვების რაციონის განუყოფელი ნაწილია. შესაბამისად, ამ პროდუქციის უვნებლობა პირდაპირ აისახება საზოგადოებრივ ჯანმრთელობასა და მომავალი თაობების ჯანსაღ ფიზიოლოგიურ განვითარებაზე. ამავ დროს, თავლიდან შესაძლოა ქიმიური საფრთხეები მომდინარეობდეს, რომლებიც დაბინძურებული გარემოსა და ფუტკრის სამკურნალოდ, თუ დაავადებების პრევენციისათვის გამოყენებული პრეპარატების შედეგია.

„ბოლო წლებში, მომხმარებლის ინტერესების დაცვის, ქართული თავლის საექსპორტო შესაძლებლობების გაზრდისა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სურსათის ეროვნული სააგენტო თანმიმდევრულ პოლიტიკას ახორციელებენ. 2015 წელს დამტკიცდა თავლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი და განისაზღვრა აკრძალული პრეპარატების (ანტიბიოტიკების) ნუსხა; დამტკიცდა ვეტერინარული პრეპარატების, სხვა დამაბინძურებელი ნარჩენი ნივთიერებების მონიტორინგის გეგმა; გაუმჯობესდა ლაბორატორიული შესაძლებლობები და დაინერგა თავლის სხვადასხვა პარამეტრზე კვლევის შესაბამისი მეთოდოლოგია; 2016 წელს ევროკომისიამ დადებითად შეაფასა სახელმწიფო კონტროლის სისტემა და საქართველოდან ევროკავშირის ტერიტორიაზე თავლის იმპორტი დაუშვა.“¹

მიუხედავად ამისა, თავლის უვნებლობის რეგულირების ეფექტიანი სისტემის შექმნამდე ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი.

თავლის კონტროლს ის გარემოებაც ართულებს, რომ ძალზე დიდია მის მწარმოებელთა და გამყიდველთა რიცხვი, განსაკუთრებით გლეხური მეურნეობებისა და სხვა წვრილი მეწარმეების სახით, რაც ქვეყნის მასშტაბით ეფექტიანი კონტროლის განხორციელებას, ამ ეტაპზე პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის.

მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ძალზე მნიშვნელოვანია საზოგადოება აქტიურად იყოს ჩართული თავლის კონტროლში, მიუკერძოებლად დააკვირდეს პროცესებს, ობიექტური დასკვნები გამოიტანოს, ხელისუფლებასა და მეწარმეებს მისცეს ისეთი სტიმულები, რომლებიც არა რომელიმე სოციალური ჯგუფის, არამედ მთელი საზოგადოების ინტერესებითა და საჭიროებებით იქნება ნაკარნახევი. მოცემული ანგარიშიც სწორედ ამ ამოცანებს ემსახურება და სამოქალაქო საზოგადოების კუთხით დანახულ სურათს წარმოადგენს.

მოცემული მონიტორინგის ობიექტად თავლთან დაკავშირებული უვნებლობის საფრთხეები და სახელმწიფო კონტროლი შეირჩა. შერჩევა შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით მოხდა: 1) თემა მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის; 2) საკითხი კომპლექსურია; 3) თავლის წარმოება პროექტის „გაზრდილი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა და მომხმარებელთა ცნობიერება“ ერთ-ერთ პრიორიტეტულ სფეროს წარმოადგენს.

მონიტორინგის შედეგები სასარგებლო უნდა იყოს სურსათის უვნებლობის სფეროში მომუშავე სახელისუფლებო, დონორი, საერთაშორისო, არასამთავრობო, თუ კერძო ორგანიზაციებისათვის.

¹ [სურსათის ეროვნული სააგენტოს 04.02.2025-ის განცხადება.](#)

ორგანიზაციისა და პროექტის შესახებ

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG) საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც 1995 წელს დაფუძნდა. მისი მისიაა საქართველოში საზოგადოების კეთილდღეობისათვის ზრუნვა, აგრეთვე, ეფექტიანი მმართველობის, მდგრადი, ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ხელშეწყობა. ორგანიზაციის შესახებ სრული ინფორმაციისათვის იხილეთ საიტი <https://csrdg.ge/>.

საქართველოში ორგანიზაცია, მომხმარებლის უფლებების დაცვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, 2009 წლიდან მუშაობს და ამ მიმართულებით მისი ძირითადი საქმიანობებია: საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, სახელმწიფო სტრუქტურებისა და ბაზრის მონიტორინგი, საკანონმდებლო რეფორმების ადვოკატირება. მეტი ინფორმაცია მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამის შესახებ იხილეთ საიტზე momxmarebeli.ge.

2023 წლიდან CSRDG-ის მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამა მონაწილეობს ევროკავშირის „სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის“ (ENPARD – Georgia) მეოთხე ფაზის (ENPARD IV) ფარგლებში დაფინანსებული პროექტის [„გაზრდილი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა და მომხმარებელთა ცნობიერება“](#) (CAPCA) განხორციელებაში. პროექტს ახორციელებს კოალიცია, რომელშიც შედიან საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (წამყვანი პარტნიორი), CSRDG და საქართველოს მთიანი რეგიონების ამბროლაურის რაიონის ფერმერ-მეფუტკრეთა ასოციაცია. პროექტის სამიზნე რეგიონებია: კახეთი, იმერეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, სხვა საქმიანობასთან ერთად, CSRDG ახდენს საქართველოში, სურსათის უვნებლობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგსა და გამოვლენილი პრობლემების მოგვარების ადვოკატირებას.

მეთოდოლოგია

მონიტორინგის ანგარიში ფოკუსირებულია ქვეყნის შიდა ბაზარზე სურსათის უვნებლობის კუთხით სახელმწიფო კონტროლის განხორციელებაზე.

მონიტორინგი დაეყრდნო პროექტის CAPCA წამყვანი პარტნიორის, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის მიერ 2023 წელს ჩატარებულ „საქართველოს მეფუტკრეობის დარგის საბაზისო კვლევას“, რომელმაც სექტორში არსებული მრავალი პრობლემა აღწერა. მოცემული მონიტორინგის ამოცანა იყო იმის გარკვევა, თუ რა ნაბიჯები გადადგეს შესაბამისმა სახელმწიფო უწყებებმა ზემოაღნიშნული კვლევის შემდეგ, 2023-2024 წლების განმავლობაში, მასში ასახული ძირითადი პრობლემების დასაძლევად და სხვა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გამოკვეთა, რომლებიც შესაძლოა ზემოაღნიშნულმა კვლევამ ვერ მოიცვა.

მონიტორინგი სამაგიდო და სავლელე კომპონენტებისაგან შედგებოდა.

სამაგიდო კვლევის პროცესში მოხდა მოცემულ თემასთან დაკავშირებული შემდეგი მასალების შესწავლა:

- საქართველოს კანონმდებლობა, სახელმწიფო პროგრამები და სახელმწიფო უწყებების ანგარიშები.
- კომპეტენტური ორგანიზაციების მიერ, ბოლო წლების მანძილზე საქართველოში ჩატარებული კვლევის ანგარიშები.
- სხვადასხვა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა სეს-იდან.

საველე კვლევის ფარგლებში ჩატარდა ჩადრმავებული ინტერვიუები საკითხში გათვითცნობიერებულ სეს-ის 4 წარმომადგენელთან.

რესპონდენტთა შერჩევა მოხდა სეს-ის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებითა და მათი კომპეტენციის, გამოცდილებისა და დაკავებული თანამდებობების მიხედვით.

ინტერვიუები ჩატარდა ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით. თითოეული ინტერვიუს დროს დასმული კითხვები განსხვავდებოდა რესპონდენტის ინფორმირებულობის ხარისხისა და პასუხისმგებლობის სფეროს შესაბამისად.

ინფორმაცია შეიკრიბა 2024 წლის დეკემბრიდან 2025 წლის თებერვლის განმავლობაში.

საბოლოოდ, სხვადასხვა წყაროთი მიღებული ინფორმაცია გაანალიზდა და შეჯერდა. ანგარიშში მოცემული დასკვნები და რეკომენდაციები ავტორს ეკუთვნის.

მონიტორინგის ანგარიში ზოგადი მიმოხილვის ხასიათს ატარებს. მასში აღნიშნულია მიღწევები და დადებითი ტენდენციები, თუმცა, ძირითადი ყურადღება პრობლემებზე მახვილდება, რათა მათ მოგვარებას შეეწყოს ხელი. საკითხების შინაარსიდან გამომდინარე, ანგარიში გარკვეულწილად სცდება უშუალოდ თაფლის უვნებლობისა და კონტროლის თემას, ვინაიდან ამ პროდუქციის წარმოება და გაყიდვა მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნის სოფლის მეურნეობასთან, კვების მრეწველობასთან, სურსათის უვნებლობისა და ქვეყნის ზოგად პოლიტიკურ მდგომარეობასთან.

აბრევიატურები

სეს - სურსათის ეროვნული სააგენტო.

CSRDG - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი.

1. მიღწეული პროგრესი

სეს-ის თანამშრომელთა შეფასებით, თავლის წარმოების სექტორის სახელმწიფო კონტროლმა და სხვადასხვა ორგანიზაციების, მათ შორის, სეს-ის მიერ სურსათის უვნებლობის საკითხებზე იქ მომუშავე მეწარმეების ინფორმირებამ დადებითი შედეგი გამოიღო. სექტორი უკეთაა მოწესრიგებული, ვიდრე რამდენიმე წლის წინ იყო, რაზეც შემდეგი გარემოებები მიუთითებს:

- გაიზარდა საწარმოების რიცხვი, რომელთაც მიღებული აქვთ სეს-ის „ალიანსი“ და დანერგილი აქვთ საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემა.
- თავლის ექსპორტიორთა რაოდენობა გაიზარდა, რაც იმის ნიშანია, რომ ქართული თავლის სანდობა სხვა ქვეყნების მაკონტროლებელი ორგანოების მიერ უფრო მაღალ შეფასებას იმსახურებს.
- წინსვლაა მიკვლევადობის კუთხით. როგორც წესი, შესაძლებელია პროდუქციის უშუალო მიმწოდებლების იდენტიფიცირება, ანუ მიწოდების ჯაჭვის წინა რგოლის მოძიება.
- მეფუტკრეები ნაკლებად იყენებენ ანტიბიოტიკებს.
- გაიზარდა საფუტკრე მეურნეობებისა და სკების რიცხვი, რომლებიც მათი იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის განხორციელების შედეგად, სეს-ის მონაცემთა ბაზაშია შესული. ეს კი მათი კონტროლის საფუძველს წარმოადგენს.

თუმცა, საგულისხმოა, რომ ზემოაღნიშნული პროგრესი, ძირითადად, სურსათის ბიზნესოპერატორებად რეგისტრირებულ საწარმოებს ეხება და ნაკლებად დანარჩენ მეურნეობებს.

სეს-ის თანამშრომელთა ინფორმაციით, თავლის სექტორის კონტროლის მექანიზმები და მოთხოვნებიც გაუმჯობესებულია, კერძოდ, შემუშავებულია საფუტკრე მეურნეობის შემოწმების საოპერაციო პროცედურები სეს-ის ინსპექტორებისათვის. ეს სახელმძღვანელო უკეთ ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და კონტროლს უფრო ეფექტიანს ხდის.

გარდა ამისა, გაზრდილია ვეტერინარული პრეპარატების რაოდენობა, რომლებსაც რეგისტრაცია გაუუქმდა და, შესაბამისად, მათი გამოყენება აიკრძალა, სწორედ უვნებლობის მოსაზრებებიდან გამომდინარე, ევროკავშირის გამოცდილებისა და პრაქტიკის შესაბამისად. დამტკიცების პროცესშია დამატებითი ნივთიერებების აკრძალვა.

თავლის წარმოების სფეროში უვნებლობის მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთ მთავარ მოტივატორად სეს-ის თანამშრომლებს ევროკავშირში თავლის ექსპორტის შესაძლებლობები მიაჩნიათ.

სეს-ის თანამშრომლები, ასევე, აღნიშნავენ მეფუტკრეობისადმი ახალგაზრდების ინტერესის ზრდას. პროფსასწავლებლებში მეტი ახალგაზრდა ეუფლება მეფუტკრეობის პროფესიას, რაც დარგის შემდგომი განვითარების პერსპექტივებს ზრდის. პროფსასწავლებლების კურსდამთავრებულები სეს-შიც საქმდებიან.

ასევე, აღსანიშნავია უკანასკნელი წლების მანძილზე ვეტერინარიის სპეციალობის დანერგვა რეგიონულ უმაღლეს სასწავლებლებში, როგორებიცაა სამცხე-ჯავახეთის

სახელმწიფო უნივერსიტეტი და ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. ეს მნიშვნელოვნად უადვილებს ვეტერინარის სპეციალობის დაუფლებას რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სპეციალობის განვითარებისათვის და მეფუტკრეობის დარგზე დადებითად იმოქმედებს.

2. მეფუტკრეთა ცნობიერება უვნებლობის საკითხებზე/მოთხოვნებზე

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რაც საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ზემოაღნიშნულმა კვლევამ გამოკვეთა არის მეფუტკრეთა დაბალი ცნობიერებაა თაფლის უვნებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

აღნიშნული კვლევის ფარგლებში გამოკითხული 534 მეფუტკრიდან მხოლოდ 6-მა დაასახელა სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული მოქმედი კანონი, ხოლო 84-მა მათგანმა განაცხადა, რომ სმენია სურსათის უვნებლობის სტანდარტების შესახებ, მაგრამ ვერ დააკონკრეტა ისინი. მეფუტკრეთა 30%-მა არ იცოდა, რომ თაფლის უვნებლობის მოთხოვნების კონტროლი სეს-ს ევალება. ამავე დროს, მეფუტკრეთა 82%-ზე მეტს მიაჩნდა, რომ მათი ტექნიკური შესაძლებლობები თაფლის წარმოების პროცესში პროდუქტისთვის დადგენილ ნორმებსა და მოთხოვნებს შეესაბამებოდა.² ამავე დროს, გამოკითხულ მეფუტკრეთა უმეტესობას (76.2%) საკუთარი პროდუქცია ლაბორატორიულად არ შეუმოწმებია და ამის მიზეზად, უმეტეს შემთხვევაში (92%), ტესტირების საჭიროების არარსებობა დაასახელა.³

მეფუტკრეთა ცნობიერების ნაკლებობაზე, როგორც სფეროში არსებულ მთავარ პრობლემაზე ამახვილებენ ყურადღებას სეს-ის თანამშრომლებიც. მათი თქმით, მეფუტკრეებს უჭირთ საკანონმდებლო სიახლეების, მოთხოვნების მიღება-განხორციელება, მათ ჩვევაში არა აქვთ ჩანაწერების წარმოება ვეტერინარული პრეპარატების გამოყენებაზე, პროდუქციის მიწოდებაზე, რაც მიკვლევადობას ართულებს და სხვა. ისინი, ასევე, ნაკლებად მიმართავენ სეს-ისა, თუ კერძო ვეტერინარებს, რაც დაავადებების დროულ პრევენციას აფერხებს.

გარდა ამისა, არ არსებობს პრაქტიკა მეფუტკრეებმა სეს-ს წინასწარ აცნობონ თავისი სკების სეზონური გადაადგილების თაობაზე (რისი ვალდებულებაც გააჩნიათ), რაც გავრცელებულია მეფუტკრეობაში პროდუქტიულობის გასაზრდელად. ეს აგრეთვე უწყობს ხელს დაავადებების გავრცელებას.

მეფუტკრეები საკუთარი მეურნეობების რეგისტრაციისგანაც იკავებენ თავს, რაც აფერხებს სექტორში უვნებლობის კონტროლის განხორციელებას.

ზოგიერთ ზემოაღნიშნულ საკითხს უფრო ვრცლად ქვემოთ შევხებით.

² საქართველოს მეფუტკრეობის დარგის საბაზისო კვლევა, საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, თბილისი, 2023, გვ. 50-51.

³ საქართველოს მეფუტკრეობის დარგის საბაზისო კვლევა, საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, თბილისი, 2023, გვ. 48.

3. ვეტერინარების რაოდენობა

ვეტერინარების ნაკლებობა საქართველოში წლების პრობლემას წარმოადგენს და ამ საკითხზე ჩვენი ორგანიზაცია სისტემატურად ამახვილებს ყურადღებას.⁴

საქართველოს ფერმერთა ასოციაციის მიერ ჩატარებული ზემოაღნიშნული კვლევის თანახმად, ვეტერინარების ნაკლებობა მეფუტკრეობის სფეროში კიდევ უფრო მწვავედ დგას. მოქმედი ვეტერინარებიდან ძალზე მცირეა მეფუტკრეობაში მომუშავეთა რაოდენობა, რასაც თავისი სპეციფიკა გააჩნია⁵. მეფუტკრე-ვეტერინარის სპეციალიზაცია საქართველოში მოქმედ უმაღლეს სასწავლებლებშიც არ არსებობს.

„დარგობრივი ასოციაციები ითხოვენ, რომ თითოეულ რეგიონში მეფუტკრეობაზე კონკრეტულად ერთი ვეტერინარი მიემაგროს, თუმცა სახელმწიფომ მათი ეს სურვილი ამ დრომდე ვერ დააკმაყოფილა“ - აღნიშნულია კვლევის ანგარიშში.⁶

სამწუხაროდ, ამ მხრივ, საგრძნობი პროგრესი არ შეინიშნება.

ვეტერინართა ნაკლებობას სეს-იც განიცდის, რაც დაავადებებზე ზედამხედველობასა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელებას აფერხებს. ამის გამო საჭირო ხდება შესაბამისი პროფილის თანამშრომლების შორ მანძილებზე, მათ შორის, თბილისიდან რეგიონებში გაგზავნა. ეს კი დამატებით ხარჯებთან და დროსთანაა დაკავშირებული, რაც სეს-ის საქმიანობის ეფექტიანობას ამცირებს.

ვეტერინარის სპეციალობის განვითარების დამატებითი ხელისშემშლელი ფაქტორი ფერმერების/გლეხების დაბალი მიმართვიანობაა, რაზეც ზემოთაც აღინიშნა. ამ მხრივ არც მეფუტკრეობის სექტორი წარმოადგენს გამონაკლისს. ეს კი ახალგაზრდებში სპეციალობის მიმზიდველობას კიდევ უფრო ამცირებს.

4. მეწარმეთა რეგისტრაციის მექანიზმები და მათი გამოყენება

სეს-ის მხრიდან კონტროლის ეფექტიანი განხორციელების საფუძველს წარმოადგენს მეწარმეთა რეგისტრაცია მონაცემთა ბაზებში, რომლებზეც სეს-ს მიუწვდება ხელი. სწორედ ამ ბაზებზე დაყრდნობით გეგმავს სეს საკუთარ კონტროლს.

⁴ იხ. მაგალითად [გ. კობალაძე, რძესა და რძის ნაწარმთან დაკავშირებული უვნებლობის საფრთხეები და სახელმწიფო კონტროლი საქართველოში, თბილისი, 2023 წ. დეკემბერი](#), გვ. 11.

⁵ [საქართველოს მეფუტკრეობის დარგის საბაზისო კვლევა, საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, თბილისი, 2023](#), გვ. 66-68.

⁶ [საქართველოს მეფუტკრეობის დარგის საბაზისო კვლევა, საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, თბილისი, 2023](#), გვ. 68.

2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის თანახმად, საქართველოში იმ მეურნეობების რაოდენობა, რომლებიც სკებს ფლობდნენ 14 074 იყო.⁷

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2023 წლის მონაცემების თანახმად, საქართველოში აღრიცხული იყო 192.7 ათასი ფუტკრის სკა, აქედან ოჯახური მეურნეობების წილი 94.9%, ხოლო სამეურნეო საწარმოების წილი 5.1%-ს შეადგენდა.⁸

სეს-ის მონაცემთა ბაზას რაც შეეხება, რომლის მეშვეობითაც ვეტერინარული კონტროლი იგეგმება, ბოლო 2 წლის მანძილზე მიმდინარე **იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის** პროცესის შედეგად, გაიზარდა იქ შესული საფუტკრე მეურნეობებისა და სკების რაოდენობა. კერძოდ, 2022 წლის 31 დეკემბრამდე რეგისტრირებული იყო 39 საფუტკრე მეურნეობა და 4 363 სკა, ხოლო 2024 წლის ბოლოსათვის - 1 262 საფუტკრე მეურნეობა და 52 013 სკა.⁹ აღსანიშნავია, რომ საფუტკრე მეურნეობებისა და სკების რეგისტრაცია 2023 წლის 1 იანვრიდან გახდა სავალდებულო. მიუხედავად იმისა, რომ აღრიცხული ობიექტების რაოდენობა მნიშვნელოვნადაა გაზრდილი, ეს რიცხვები გაცილებით ჩამოუვარდება სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ამავე მონაცემებს.

ცალკე მექანიზმია **სურსათის ბიზნესოპერატორად რეგისტრაცია**. ეს იმისათვისაა საჭირო, რომ სეს-მა სურსათის უვნებლობის კონტროლი ეფექტიანად დაგეგმოს და განახორციელოს¹⁰. ბოლო 2 წლის მანძილზე ამ მიმართულებით დიდი ზრდა არ შეინიშნება. სეს-ის ინფორმაციით, 2022 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, თაფლის წარმოებით დაკავებული 30 ბიზნესოპერატორი იყო რეგისტრირებული, ხოლო 2024 წლის ბოლოსათვის ამ რიცხვმა 40 შეადგინა.¹¹

კიდევ ერთი მექანიზმია **ოჯახური წარმოების სუბიექტად რეგისტრაცია**. ჯერ კიდევ 2020 წელს ამოქმედდა სურსათის/ცხოველის საკვების არაორგანიზებული წარმოების წესი. ამ ნორმატიული აქტით დაკონკრეტდა, რომელი მეურნეობები ექვემდებარება სურსათის ბიზნესოპერატორად რეგისტრაციას და რომელი - ოჯახური წარმოების სუბიექტად. მეფუტკრეობის სექტორში ოჯახური წარმოების სუბიექტებად რეგისტრაცია ევალუბათ იმ მეურნეობებს, რომელთაც არაუმეტეს 30 ფუტკრის ოჯახი ჰყავთ, დანარჩენი, უფრო მსხვილი მეურნეობები კი სურსათის ბიზნესოპერატორებად უნდა დარეგისტრირდნენ. აღსანიშნავია, რომ 2024 წლის ბოლომდე ეს ზღვარი 10 სკას შეადგენდა და მხოლოდ ახლახანს გაიზარდა.¹²

ოჯახური წარმოების სუბიექტისადმი კანონმდებლობის მიერ წაყენებული მოთხოვნები მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება სურსათის ბიზნესოპერატორების წინაშე არსებულ მოთხოვნებს. მათი რეგისტრაციის უმთავრეს დანიშნულებას ოჯახური მეურნეობებისა და

⁷ [2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური](#), ცხრილი 5.7. მეურნეობების რაოდენობა ცხენით, ვირით, ჯორითა და ფუტკრის ოჯახით (სკა) (ერთეული). უფრო ახალი მონაცემები ვერ მოვიპოვეთ.

⁸ [საქართველოს სოფლის მეურნეობა 2023, სტატისტიკური პუბლიკაცია, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი, 2024](#), გვ. 93. პუბლიკაციაში სკის სინონიმად მოხსენიებულია „ფუტკრის ოჯახი“.

⁹ სეს-ის 26.12.24 წერილი N 09/13708 CSRDG-ს.

¹⁰ არ უნდა აგვერიოს ვეტერინარულ კონტროლში.

¹¹ სეს-ის 26.12.24 წერილი N 09/13708 CSRDG-ს; სეს-ის 27.02.25 წერილი N 09/1756 CSRDG-ს.

¹² სურსათის/ცხოველის საკვების არაორგანიზებული წარმოების წესი, მ. 4, ბ).

მათ მიერ წარმოებული პროდუქციის მიკვლევადობა წარმოადგენს, რაც სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია.

მიუხედავად ამისა, როგორც წესი, სასოფლო მეურნეობები არათუ ბიზნესოპერატორებად, არამედ ოჯახური წარმოების სუბიექტებადაც არ რეგისტრირდებიან. 2023-2024 წლების მანძილზე თავლის წარმოებით დაკავებული ოჯახური წარმოების სუბიექტების რაოდენობა არ გაზრდილა და 2024 წლის ბოლოსათვის ეს რიცხვი მხოლოდ 15 სუბიექტს შეადგენდა.¹³

სეს-ის თანამშრომელთა ინფორმაციით, ბიზნესოპერატორად და ოჯახური წარმოების სუბიექტად რეგისტრაციის წასახალისებლად არაერთი შეხვედრა შედგა ფერმერულ-გლეხური მეურნეობების წარმომადგენლებთან, მათ შორის, მეფუტკრეებთან. ინფორმაცია სხვა გზებითაც ვრცელდებოდა. თუმცა, ამ პროცესს წინააღმდეგობა შეხვდა. ფერმერებს/გლეხებს დაბეგვრისა და კონტროლის შიში აქვთ და ამიტომ იკავებენ თავს რეგისტრაციისგან. შესაბამისად, ეს პროცესი ფაქტობრივად არ შედგა.

ამგვარად, სეს-ს არ მიუწვდება ხელი ისეთ მონაცემთა ბაზებზე, რომლებიც მეტ-ნაკლებად მაინც სრულად მოიცავს ყველა იმ ბიზნესსუბიექტს, რომელზეც მისი კონტროლი უნდა გავრცელდეს.

სწორედ ამ პრობლემის დასაძლევად და რეგისტრაციის წასახალისებლად მოხდა მოთხოვნების შერბილება ბიზნესოპერატორად რეგისტრაციისთვის და, როგორც ზემოთაც აღინიშნა, კრიტერიუმი 10-დან 30 ფუტკრის ოჯახამდე გაიზარდა.

სეს-ის თანამშრომელთა თქმით, რეგისტრაციის წახალისების კიდევ ერთი ეფექტური მექანიზმი თავლის წარმოების სექტორის განვითარებისადმი მიმართული პროექტებია, რომლებსაც სოფლის განვითარების სააგენტო და სხვა დონორი ორგანიზაციები ახორციელებენ. ისინი მხარდაჭერის პირობად მეურნეობის კანონით გათვალისწინებულ რეგისტრაციას, ასევე, სკების იდენტიფიკაცია-რეგისტრაციას განსაზღვრავენ.

5. კონტროლის მასშტაბები

საქართველოში სურსათის უვნებლობის კონტროლის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას კონტროლის შეზღუდული მასშტაბები წარმოადგენს, რაზეც CSRDG სისტემატურად ამახვილებს ყურადღებას.¹⁴ ეს პრობლემა თავლის წარმოების სექტორზეც ვრცელდება. ამ საკითხს სეს-ის თანამშრომლებიც აღნიშნავენ, იმ პირობებში, როდესაც სექტორში ბევრი მცირე მეურნეობა ფუნქციონირებს.

სეს-ის 2023 წლის ვეტერინარული კონტროლის პროგრამით გათვალისწინებული იყო საფუტკრე მეურნეობების არანაკლებ 1%-ის ინსპექტირება (რაოდენობა დაკონკრეტებული არ

¹³ სეს-ის 26.12.24 წერილი N 09/13708 CSRDG-ს.

¹⁴ მაგ. ვ. კობალაძე, რძესა და რძის ნაწარმთან დაკავშირებული უვნებლობის საფრთხეები და სახელმწიფო კონტროლი საქართველოში, თბილისი, 2023 წ. დეკემბერი, გვ. 13.

არის)¹⁵, 2024 წლის პროგრამით - 290 მეურნეობისა¹⁶, ხოლო, 2025 წლის პროგრამით, მხოლოდ 50 ობიექტის ინსპექტირებაა დაგეგმილი.¹⁷

რაც შეეხება სურსათის ბიზნესოპერატორებად რეგისტრირებული მეწარმეების ინსპექტირებას, 2023 წ. თავლის წარმოებით დაკავებული ობიექტების 6 ინსპექტირება ჩატარდა, ხოლო 2024 წელს - 40 ინსპექტირება.¹⁸ 2025 წლის სურსათის უვნებლობის სახელმწიფო პროგრამაში თავლის საწარმოების შემოწმების დაგეგმილი მასშტაბები მითითებული არ არის.

ამგვარად, სეს-ის მიერ გაკონტროლებული თავლის მეწარმეებელთა მასშტაბები სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ აღრიცხულ მონაცემებთან მიმართებაში (იხ. პარ. 4. მეწარმეთა რეგისტრაციის მექანიზმები და მათი გამოყენება) მეტად მცირეა.

გარდა ამისა, მიმდინარეობს თავლის ნიმუშების ლაბორატორიული კვლევები ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენ ნივთიერებებზე. ყოველწლიურად თავლისთვის ასაღები ნიმუშების რაოდენობა, წლიური წარმოების პირველ 3 000 ტონაზე, ყოველი 300 ტონისათვის შეადგენს 10 ნიმუშს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, თავლის წლიური წარმოება შეადგენს დაახლოებით 2 000 ტონას. ამდენად, ყოველწლიურად 100 ნიმუშის შემოწმება ხდება.¹⁹

აქვე ისიცაა, გასათვალისწინებელი, რომ, როგორც სეს-ის მიერ 2023-2024 წლებში განხორციელებული ლაბორატორიული კვლევების შედეგებიდან²⁰ ჩანს, შემოწმებული ნიმუშების აბსოლუტური უმრავლესობა რეგისტრირებული ბიზნესოპერატორების წარმოებულია და არა საოჯახო მეურნეობების, რომელთა რიცხვიც მრავლადაა.

ასევე, საყურადღებოა, რომ თავლის წარმოებაში გამოყენებული ტარის ლაბორატორიული კონტროლი არ მიმდინარეობს. სურსათის ბიზნესოპერატორებად რეგისტრირებული მეწარმეების შემოწმების დროს სეს მხოლოდ ტარის სერტიფიკატს ითხოვს, რამაც თავლის წარმოება-დაფასობისათვის მისი შესაბამისობა უნდა დაადასტუროს.

6. ანტიბიოტიკების ნარჩენები თავლში

ანტიბიოტიკებით თავლის დაბინძურების საკითხი წლებია ქვეყნის წინაშე დგას და იგი სხვა სურსათსაც ეხება. თავლთან მიმართებაში, ბოლო წლების მანძილზე პროგრესი შეინიშნება, რაზეც ცხრილი 1. მიუთითებს (იხ. ქვემოთ). „თუკი 2017-2018 წლებში, 100 ნიმუშიდან შეუსაბამობა 50 პროცენტში აღინიშნებოდა, 2019 წლიდან მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში ფიქსირდება.“²¹

¹⁵ ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის 2023 წლის პროგრამა, გვ. 32.

¹⁶ ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის 2024 წლის პროგრამა, გვ. 10.

¹⁷ ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის 2025 წლის პროგრამა, გვ. 11.

¹⁸ [სახელმწიფო კონტროლის შედეგები](#), ინსპექტირება; სეს-ის 27.02.25 წერილი N 09/1756 CSRDG-ს.

¹⁹ სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2023 წლის პროგრამა, გვ. 43; სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2024 წლის პროგრამა, გვ. 41; სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2025 წლის პროგრამა, გვ. 43.

²⁰ [თავლის შემოწმების შედეგები, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, 30.01.2025; სახელმწიფო კონტროლის შედეგები](#), მონიტორინგი, 2023 წ., სურსათის ეროვნული სააგენტო.


²¹ [სურსათის ეროვნული სააგენტოს 04.02.2025-ის განცხადება](#) თავლის ნიმუშების შემოწმების შესახებ.

2024 წლის დასაწყისში საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ინიციატივის ფარგლებში, მისმა პარტნიორმა ორგანიზაციებმაც შეამოწმეს თაფლის 36 ნიმუში ანტიბიოტიკების შემცველობაზე და დარღვევა არც ერთ ნიმუშში არ გამოვლენილა.²²

თუმცა, სეს-ის მიერ წლის ბოლოს შემოწმებული ნიმუშების 5% საფრთხის შემცველი აღმოჩნდა, კერძოდ, მათში აკრძალული ანტიბიოტიკების ნარჩენები გამოვლინდა. თავისთავად ეს მაღალი რიცხვი არ არის, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ დარღვევები საკმაოდ გავრცელებული ბრენდების პროდუქციაშია გამოვლენილი, რომელიც ასევე, დიდ სავაჭრო ქსელებში იყიდება.²³ აქედან ორი მწარმოებელი სეს-ის მიერ 2024 წელსვე იყო ინსპექტირებული (კონტროლის სამი კვარტლის შედეგების მიხედვით).²⁴

აქვე ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ, შემოწმებული ნიმუშების აბსოლუტური უმრავლესობა (თუ ყველა არა) მეწარმედ რეგისტრირებულ სუბიექტებს ეკუთვნით და არა საოჯახო მეურნეობებს.

შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თაფლის ანტიბიოტიკებით დაბინძურების საკითხი საქართველოში კვლავ აქტუალურია.



ცხრილი 1. სეს-ის მიერ თაფლის ანტიბიოტიკების ნარჩენებზე შემოწმების შედეგები

²² [თაფლის შემოწმება ანტიბიოტიკების შემცველობაზე, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, 15.03.2024.](#)

²³ მეტი ინფორმაციისათვის იხ. [თაფლის შემოწმების შედეგები, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, 30.01.2025.](#)

²⁴ [სახელმწიფო კონტროლის შედეგები](#), ინსპექტირება, 2024 წ. I, II, III კვარტლები, სურსათის ეროვნული სააგენტო.

7. კონტროლის ეფექტიანობა და მომხმარებელთა ინფორმირება

2023-2024 წლებში თავლის ნიმუშების ლაბორატორიული კვლევების შედეგების²⁵ ანალიზმა სეს-ის მუშაობის შემდეგი ხარვეზიც გამოკვეთა.

2024 წელს სეს-ს თავლის ნიმუშები ივნის-აგვისტოში, შემდეგ კი ოქტომბერ-ნოემბერში აულდა. თუმცა, ლაბორატორიის კვლევის ოქმები 25-27 დეკემბრითაა დათარიღებული.

მსგავსი მდგომარეობა იკვეთება 2023 წელსაც, ნიმუშების აღება ივლისში დაიწყო და ოქტომბრის ჩათვლით გაგრძელდა. თუმცა, ლაბორატორიის კვლევის ოქმები 27-28 დეკემბრითაა დათარიღებული.

ამგვარად, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება თვეების, ზოგიერთ შემთხვევაში კი ნახევარი წლის დაგვიანებით მოხდა და მთელი ამ ხნის მანძილზე მავნე პროდუქტების პარტიები დაუბრკოლებლად იყიდებოდა და მოიხმარებოდა მოქალაქეთა მიერ. დარღვევების გამოვლენის შემდეგ, 2023 და 2024 წლების მიწურულს სეს-ის მიერ გატარებული ღონისძიებები სურსათის მავნე პარტიების სავაჭრო ქსელიდან ამოსაღებად, ძალზე დაგვიანებული იყო მოქალაქეებისათვის ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

ამას ისიც ემატება, რომ სეს როგორც წესი, ოპერატიულად არ აქვეყნებს ინფორმაციას მის მიერ გამოვლენილი მავნე სურსათის შესახებ, რაც კანონდარღვევაა.²⁶ ეს მონაცემები, ძირითადად, კონტროლის კვარტალური შედეგების გამოქვეყნების დროს ხდება საზოგადოებისათვის ცნობილი და, უმეტესად, დაგვიანებით - თითოეული კვარტლის გასვლიდან 1 თვის შემდეგ, ან უფრო გვიან. ეს კი, ასევე, სეს-ის საზოგადოების ინფორმირების სტანდარტული საოპერაციო პროცედურის დარღვევაცაა, რომლის თანახმადაც, სურსათის ქიმიური დაბინძურების გამოვლენის შემთხვევაში, მოსახლეობის ინფორმირება უნდა მოხდეს, ყველაზე გვიან, კვარტალურად,²⁷ ხოლო „კვარტალში ერთხელ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია ქვეყნდება კვარტლის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში“.²⁸ 2024 წლის მესამე კვარტლის ლაბორატორიული კვლევის შედეგები, მაგალითად, სეს-ს 2025 წლის 30 იანვრისთვისაც არ ჰქონდა გამოქვეყნებული; ხოლო 2024 წლის მეოთხე კვარტლის მთელი კონტროლის შედეგები 2025 წლის 26 თებერვალსაც არ იყო გამოქვეყნებული.

²⁵ [თავლის შემოწმების შედეგები, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, 30.01.2025; სახელმწიფო კონტროლის შედეგები, მონიტორინგი, 2023 წ., სურსათის ეროვნული სააგენტო.](#)

²⁶ სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის მ. 22, ა.ე)-ით სეს-ს ევალება „მოსახლეობის დროული ინფორმირება ბაზარზე განთავსებულ სურსათთან/ცხოველის საკვებთან დაკავშირებით, თუ დადასტურებულია, რომ ეს სურსათი/ცხოველის საკვები ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობისათვის მავნეა“.

²⁷ საზოგადოების ინფორმირების სტანდარტული საოპერაციო პროცედურა, სსპ: PR-FS-001, ვერსია - 01, სეს, მ. IV, 1.2., ა.ბ); 1.4; 1.7.

²⁸ საზოგადოების ინფორმირების სტანდარტული საოპერაციო პროცედურა, სსპ: PR-FS-001, ვერსია - 01, სეს, მ. IV, 2.2.

ამასთან ერთად, სეს არც შესაბამის მეწარმეებს ავალებს სურსათის მავნე პარტიების უკვე გაყიდული ნიმუშები მომხმარებლებისაგან გამოითხოვონ, რაც ასევე კანონითაა გათვალისწინებული.²⁹

გამონაკლისი არც თაფლის ნიმუშებში გამოვლენილი ანტიბიოტიკები იყო, რის შესახებ სეს-ს არც 2023 წლის დეკემბერსა და 2024 წლის იანვარში და არც 2024 წლის დეკემბერსა და 2025 წლის იანვარში გამოუქვეყნებია ინფორმაცია, რომლის მეშვეობითაც მომხმარებლები შეძლებდნენ საქონლის იმ პარტიების იდენტიფიცირებას, რომლებიც დაბინძურებული აღმოჩნდა და მათი შეძენისა და, უკვე შეძენილის შემთხვევაში, მოხმარებისაგან შეიკავებდნენ თავს. სეს-ს არც მეწარმეებისათვის დაუვალეზია თაფლის დაბინძურებული ნიმუშები მომხმარებლებისაგან გამოეთხოვათ.

²⁹ სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 18¹, 2-ით „თუ ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად მიღებული ზომები საკმარისი არ არის, ბიზნესოპერატორმა უნდა გამოითხოვოს მომხმარებლისთვის მიწოდებული სურსათი/ცხოველის საკვები“, ხოლო მ. 26¹, 4, ბ)-ით სეს-ს ევალეზა ბიზნესოპერატორის მიერ სურსათის მომხმარებლისგან გამოთხოვაზე ზედამხედველობა.

ძირითადი დასკვნები

1. ბოლო ორი წლის მანძილზე თაფლის წარმოების სექტორი განვითარებას განაგრძობდა, მათ შორის, სურსათის უვნებლობის მოთხოვნების უკეთ დაკმაყოფილების კუთხით. გამკაცრდა მოთხოვნები ვეტერინარული პრეპარატების გამოყენებასთან დაკავშირებით. დაიხვეწა სეს-ის მხრიდან სექტორის კონტროლის მექანიზმები. ვეტერინარის სპეციალობის სწავლება გაფართოვდა რეგიონულ უმაღლეს სასწავლებლებში.
2. პროგრესის მიუხედავად, დაუძლეველ პრობლემად რჩება მეფუტკრეთა დაბალი ცნობიერება თაფლის უვნებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.
3. არ შეინიშნება საგრძნობი წინსვლა ვეტერინარების რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებით, მათ შორის, მეფუტკრეობის სფეროში, რომელიც დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, კიდევ უფრო მწვავედ განიცდის ამ პრობლემას.
4. თაფლის წარმოების სექტორში მოქმედი მეწარმეებისა, თუ საოჯახო მეურნეობების აღრიცხვიანობის კუთხით გარკვეული პროგრესია მიღწეული. თუმცა, სეს-ს კვლავ არ მიუწვდება ხელი ისეთ მონაცემთა ბაზებზე, რომლებიც მეტ-ნაკლებად მაინც სრულად მოიცავს ყველა იმ ბიზნესსუბიექტს, რომელზეც მისი კონტროლი უნდა გავრცელდეს.
5. საქართველოში სურსათის უვნებლობის კონტროლის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა კონტროლის არასაკმარისი მასშტაბებია, რაც არც თაფლის წარმოების სექტორში წარმოადგენს გამონაკლისს. სეს-ის მიერ განხორციელებული კონტროლი სექტორში მოქმედი მეურნეობების უდიდეს უმრავლესობასა და მათ მიერ წარმოებულ პროდუქციას ვერ მოიცავს.
6. ანტიბიოტიკების გამოყენების მხრივ, მდგომარეობის გაუმჯობესების მიუხედავად, ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თაფლის ანტიბიოტიკებით დაბინძურების საკითხი საქართველოში კვლავ აქტუალურია.
7. სეს ეფექტიანად არ იყენებს მის ხელთ არსებულ კონტროლის მექანიზმებს. აღებული თაფლის ნიმუშების ლაბორატორიული კვლევები დაგვიანებით ხდება და, შესაბამისად, საფრთხის შემცველი პარტიების სავაჭრო ქსელიდან დროული ამოღება არ მიმდინარეობს.
8. სეს კვლავაც არ ასრულებს საკუთარ ვალდებულებას გამოვლენილი მავნე სურსათის შესახებ მოსახლეობის დროულ ინფორმირებასთან და საფრთხის შემცველი პარტიების ნიმუშების მომხმარებლებისაგან გამოთხოვასთან დაკავშირებით, მათ შორის, თაფლის ნიმუშებში საფრთხეების გამოვლენის დროს.
9. თაფლის წარმოების სექტორში, ისევე, როგორც, მთლიანობაში, სურსათის უვნებლობის კუთხით, საქართველოში „ჩაკეტილი წრე“ ჩამოყალიბდა, რომლის გარღვევის გარეშეც მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება და განვითარების შემდგომ საფეხურზე ასვლა ვერ მოხერხდება. ეს „ჩაკეტილი წრე“ შემდეგში მდგომარეობს:

- მეწარმეთა დიდი ნაწილი არ ან/და ვერ იცავს სურსათის უვნებლობის საბაზისო მოთხოვნებს.
- სასურსათო ბაზრის ეფექტიანი კონტროლისათვის სახელმწიფოს არ გააჩნია საკმარისი რესურსი და მოტივაცია.
- სურსათის უვნებლობის მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით გარღვევის მოსახდენად საკმარისად ძლიერი „საზოგადოებრივი დაკვეთა“ არ არსებობს.³⁰

ამ „ჩაკეტილი წრის“ გარღვევის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მოტივატორიცა და საშუალებაც საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციაა. სწორედ ეს ფაქტორი იყო სურსათის უვნებლობის სფეროში მიმდინარე რეფორმების მთავარი მამოძრავებელი ძალა 2010 წლიდან მოყოლებული. ამ რეფორმების განხორციელებაში თავად ევროკავშირი, მისი წევრი ქვეყნები, იქ მოქმედი ორგანიზაციები და სხვა დასავლური აქტორები დიდ დახმარებას უწევდნენ საქართველოს. ქვეყანაში ამჟამად არსებული პოლიტიკური მდგომარეობის ფონზე, როდესაც ევროკავშირსა და, ზოგადად, დასავლეთთან ურთიერთობები მინიმუმამდეა დასული და საქართველოს საჯარო დაწესებულებებისადმი დახმარება შეწყვეტილია, მეტად რთულია იმის პროგნოზირება, თუ როგორ მოახერხებს ქვეყანა სურსათის უვნებლობის მდგომარეობის კუთხით არათუ წინსვლის გაგრძელებას, არამედ მიღწეული შედეგების შენარჩუნებას.

რეკომენდაციები

საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებებს:

1. დაუბრუნდნენ ქვეყნის ევროინტეგრაციისა და პროდასავლურ კურსს, გასწიონ ძალისხმევა ევროკავშირისა და, მთლიანად დასავლეთის მხრიდან დახმარების აღსადგენად, რათა შესაძლებელი გახდეს სურსათის უვნებლობის სფეროში მიღწეული პროგრესის შენარჩუნება და შემდგომი წინსვლა.
2. გადაიხედოს მიდგომები სურსათის სექტორში მომუშავე წვრილი მეწარმეებისა და გლეხური მეურნეობების ხელშეწყობისა და კონტროლის მიმართ. დასახულ იქნეს კონკრეტული ვადები სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მეწარმეთა ყველა კატეგორიაზე გასავრცელებლად და გადაიდგას კონკრეტული და თანმიმდევრული ნაბიჯები განუკითხაობის „შავი ხვრელების“ ამოსავსებად, მათ შორის:
 - მეტად იქნეს წახალისებული სურსათის უვნებლობის მოთხოვნების დაცვა, თავლის წარმოების სექტორის მხარდაჭერის პროგრამების მეშვეობით.

³⁰ უფრო მეტი ამ საკითხებზე იხ. [გ. კობალაძე, რძესა და რძის ნაწარმთან დაკავშირებული უვნებლობის საფრთხეები და სახელმწიფო კონტროლი საქართველოში, თბილისი, 2023 წ. დეკემბერი, გვ. 22.](#)

- გატარდეს აქტიური მუშაობა მეწარმეებისა და ოჯახური მეურნეობების (მათ შორის, თაფლის წარმოების სექტორში) კანონის მოთხოვნების თანახმად რეგისტრაციისთვის, ისევე როგორც საფუტკრე მეურნეობებისა და სკების იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისათვის.
 - პარალელურად, გამოინახოს შესაძლებლობები, თაფლის წარმოების სექტორში მომუშავე სუბიექტთა კონტროლის გაფართოებისათვის.
 - გადაიდგას ნაბიჯები თაფლის წარმოებაში გამოყენებული ტარის ლაბორატორიული კვლევების დასაწესად.
3. მეტი ძალისხმევა იქნეს მიმართული ვეტერინარის პროფესიის მიმზიდველობის გაზრდისა და კადრების მომზადებისაკენ (მათ შორის, მეფუტკრეობის სპეციალიზაციით): სახელმწიფოს მიერ დასაქმებული ვეტერინარების სამუშაო პირობების გაუმჯობესება, უმაღლეს სასწავლებლებში (განსაკუთრებით კი რეგიონებში) ვეტერინარიის სწავლებისა და სწავლის მეტი ხელშეწყობა.
 4. გადაიხედოს სურსათის, მათ შორის, თაფლის უვნებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მეწარმეებისა და მოსახლეობის ინფორმირების აქამდე არსებული პრაქტიკა და განხილულ იქნეს მისი გაუმჯობესების შესაძლებლობები.

სეს-ს:

1. თაფლის ნიმუშები აღებისთანავე ჩააბაროს ლაბორატორიას, რათა მავნე პროდუქციის გამოვლენის შემთხვევაში, დაბინძურებული პარტიების სავაჭრო ქსელიდან დროულად ამოღება მოხდეს და საფრთხის გავრცელება შეიზღუდოს.
2. შეასრულოს საკუთარი ვალდებულება გამოვლენილი მავნე სურსათის შესახებ მოსახლეობის დროულ ინფორმირებასთან, მისი მომხმარებლისგან გამოთხოვასთან დაკავშირებით, მათ შორის, თაფლის ნიმუშებში საფრთხეების გამოვლენის დროს.
3. გააანალიზოს ის მიზეზები, რამაც, გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, თაფლის ნიმუშების (მათ შორის, ცნობილი ბრენდების პროდუქციის) აკრძალული ანტიბიოტიკებით დაბინძურება გამოიწვია და გადადგას შესაბამისი ნაბიჯები საფრთხეების მინიმუმამდე შესამცირებლად.

გამოკითხულ პირთა სია

1. ანა გემაზაშვილი, სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.
2. მარიამ მაღრაძე, სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის, ცხოველური წარმოშობის სურსათის სამმართველოს, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.
3. ცირა ნაფეტვარიძე, სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტის ცხოველთა განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადებების ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი.
4. თეა ოშხერელი, სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტის ვეტერინარული კონტროლის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი.

წერილობითი წყაროები

1. ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის 2023 წლის პროგრამა.
2. ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის 2024 წლის პროგრამა.
3. ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის 2025 წლის პროგრამა.
4. [თაფლის შემოწმება ანტიბიოტიკების შემცველობაზე, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, 15.03.2024.](#)
5. [თაფლის შემოწმების შედეგები, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, 30.01.2025.](#)
6. [ვ. კობალაძე, რძესა და რძის ნაწარმთან დაკავშირებული უვნებლობის საფრთხეები და სახელმწიფო კონტროლი საქართველოში, თბილისი, 2023 წ. დეკემბერი.](#)
7. საზოგადოების ინფორმირების სტანდარტული საოპერაციო პროცედურა, სსპ: PR-FS-001, ვერსია - 01, სეს.
8. [საქართველოს მეფუტკრეობის დარგის საბაზისო კვლევა, საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, თბილისი, 2023.](#)
9. [საქართველოს სოფლის მეურნეობა 2023, სტატისტიკური პუბლიკაცია, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი, 2024.](#)
10. [სახელმწიფო კონტროლის შედეგები, მონიტორინგი, 2023 წ., სურსათის ეროვნული სააგენტო.](#)
11. [სახელმწიფო კონტროლის შედეგები, ინსპექტირება, 2024 წ. I, II, III კვარტლები, სურსათის ეროვნული სააგენტო.](#)
12. სეს-ის 26.12.24 წერილი N 09/13708 CSR DG-ს.
13. სეს-ის 27.02.25 წერილი N 09/1756 CSR DG-ს.
14. სურსათის/ცხოველის საკვების არაორგანიზებული წარმოების წესი.
15. [სურსათის ეროვნული სააგენტოს 04.02.2025-ის განცხადება.](#)
16. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2023 წლის პროგრამა.
17. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2024 წლის პროგრამა.

18. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2025 წლის პროგრამა.
19. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი.
20. [2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.](#)